

**შეფასების სისტემა ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის
სტუდენტებისათვის (სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკაში)**

სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების (N3; 05/01/2007) შესაბამისად.

დისციპლინის/კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია, რაც წარმოადგენს შუალედური შეფასების და დასკვნითი გამოცდის ქულათა ჯამს.

სტუდენტის მიღწევების შეფასების კომპონენტები შემდეგია:

სტუდენტის **დასწრება მეცადინეობებზე - 3 ქულა**

მეცადინეობებზე აქტივობა (გამოკითხვა) - 15 ქულა;

კოლოკვიუმები: 32 ქულა:

ზეპირი კოლოკვიუმი - 20 ქულა (4 ჯერ სემესტრში, თითო - ≤ 5 ქულა)

წერიითი კოლოკვიუმები - 12 ქულა (2 კოლოკვიუმი სემესტრში; თითო – ≤ 6ქულა) ტარდება ტესტ-კითხვარების საშუალებით

ლაბორატორიული სამუშაო –10 ქულა (5 ლაბორატორიული სამუშაო სემესტრში; თითო –2 ქულა)

დასკვნითი გამოცდა - 40 ქულა

შუალედური შეფასება (მაქსიმუმ 60 ქულა) მოიცავს შემდეგ კომპონენტებს:

დასწრების ქულას სტუდენტი იღებს პრაქტიკულ მეცადინეობებზე და ლექციებზე დასწრებით. გაცდენის შემთხვევაში დასწრების ქულა იანგარიშება პროპორციის მიხედვით.

მეცადინეობებზე აქტივობა ფასდება სემესტრის განმავლობაში პრაქტიკულ მეცადინეობებზე ზეპირი გამოკითხვის შეფასებით (მაქსიმალური შეფასება 3 ქულა)

3 ქულა - სტუდენტი კარგად არის მომზადებული, ზედმიწევნით კარგად ფლობს გათვალისწინებულ მასალას; დასმულ შეკითხვებზე პასუხები სრულყოფილი, სწორი და დასაბუთებულია; სტუდენტს გააზრებული აქვს და კარგად ერკვევა საკითხში, მაქსიმალურად ავლენს ცოდნის გადმოცემისა და დისკუსიის უნარს.

2 ქულა - სტუდენტი მომზადებულია. საშუალოდ, ფლობს გათვალისწინებული თემის მხოლოდ ნაწილს, უჭირს მომზადებული მასალის წარდგენა, დასმულ შეკითხვებზე პასუხები დაუსაბუთებელია.

1 ქულა - სტუდენტი მოუმზადებელი, ვერ წარმართავს დისკუსიას; დასმულ შეკითხვებზე პასუხები არასრულია.

0 ქულა - სტუდენტი მოუმზადებელია და ვერ პასუხობს.

სემესტრის განმავლობაში ზეპირი გამოკითხვის პროცესში მიღებული ქულები გროვდება (ჯამი≤15).

ლაბორატორიული სამუშაო ფასდება 10 ქულით (5 ლაბორატორიული სამუშაო სემესტრში; თითო –2 ქულა) შეფასება ხდება შემდეგნაირად:

2 ქულა – სტუდენტმა შეასრულა სამუშაო წარტმატებით და ასევე სრულყოფილად უპასუხა და დაასაბუთა ლაბორატორიული სამუშაოს თეორიული ნაწილი

1 ქულა – სტუდენტმა შეასრულა სამუშაო წარტმატებით, მაგრამ თეორიული დასაბუთება გაუჭირდა

0 ქულა – სტუდენტმა ლაბორატორიული სამუშაო არ შეასრულა

სემესტრში დაგეგმილია 4 ზეპირი კოლოკვიუმის ჩატარება. ზეპირი გამოკითხვით (შინაარსობრივად ურთიერთდაკავშირებული მონაკვეთებისა) ბილეთების საშუალებით. ბილეთში 5 საკითხია, თითო საკითხი ფასდება ≤ 1 ქულით (1 ქულა – სწორი სრული პასუხი, 0,5 ქულა – არასრული პასუხი, 0 ქულა – არასწორი პასუხი).

წერითი კოლოკვიუმი ტარდება ტესტური ფორმით (60 კითხვა) სემესტრში ორჯერ. ტესტური ფორმის დროს შეთავაზებული ოთხი ალტერნატიული პასუხიდან ერთი სწორი პასუხი შეფასდება 0,1 ქულით. წერითი კოლოკვიუმების მაქსიმალური ქულაა - 12

სამედიცინო ფიზიკის და ბიოფიზიკის გამოცდის ფორმა კომბინირებულია: ტესტური (წერითი) + ზეპირი (ბილეთებით). გამოცდაზე ტესტურ კითხვათა რაოდენობა 100-ია (თითო კითხვაზე შეთავაზებული ოთხი ალტერნატიული პასუხი; 15 ქულა არის მაქსიმალური გამოცდის წერითი ნაწილისთვის. ანუ თითოეული სწორი პასუხი შეფასდება 0,15 ქულით

ზეპირი გამოკითხვის დროს საკითხთა რაოდენობა – 5 (თითო საკითხი შეფასდება ≤ 5 ქულით).

5 ქულა - საკითხს ფლობს სიღრმისეულად, გადმოსცემს თანმიმდევრობით და სრულყოფილად გამართული ტერმინოლოგიით; Y ჩანს ძირითადი და დამატებითი ლიტერატურის საფუძვლიანი ფლობა და გამოყენების უნარი.

4 ქულა - საკითხს გადმოსცემს თანამიმდევრულად, მაგრამ ზედაპირულად. სიღრმისეული ჩაკითხვისას პასუხს ვერ იძლევა. ასევე ზედაპირულად იცნობს დამატებით ლიტერატურას.

3 ქულა - პასუხობს არათანამიმდევრულად, გამართული ტერმინოლოგიით. ფლობს მხოლოდ ძირითად ლიტერატურას

2 ქულა – სტუდენტის პასუხები არათანამიმდევრულია. საკითხს ფლობს საშუალოდ, მაგრამ გადმოსცემს მცდარი ტერმინოლოგიით.

ჩანს ძირითადი ლიტერატურის არასრულყოფილი ცოდნა.

1 ქულა - სტუდენტის პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარი. ცდილობს მიახლოვებით მაინც გასცეს პასუხი დასმულ შეკითხვაზე, ძირითად ლიტერატურას თითქმის არ ფლობს

0 ქულა - საერთოდ ვერ ავლენს საკითხის გარშემო ელემენტარულ ცოდნას.

საგამოცდო ტესტების ბაზა (1000-მდე ტესტი) დახურულია, ტესტების 25% განახლებადია ყოველ სასწავლო წელს.

საგამოცდო **შეფასება დადებითია**, თუ მის მიერ გამოცდაზე მიღებული ქულა ტოლია ან აღემატება ოც ქულას (მაქსიმალური შეფასების 50%).

საგამოცდო საკითხები/ქვესაკითხები და ტიპობრივი საგამოცდო ტესტები ცნობილია სტუდენტისათვის. საგამოცდო ტესტების შინაარსი განახლებადია დადგენილი წესით.

შუალედური და საგამოცდო შეფასების გასაჩივრება სტუდენტს შეუძლია თსსუ-ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესის 3.20-ის შესაბამისად.

შეფასების სისტემით დაშვებულია:

ა. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

(A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;A

(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

(Fx) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.